PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ- კოლეჯ „იბერიას“ „სამკერვალო წარმოების“ და „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ
(ბაღდათი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრები:
მანანა კობალაძე
ნატალია დარჩინიან

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „იბერია“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
„თმისა და სილამაზის მომსახურება"	30	15	-
"სამკერვალო წარმოება"	30	15	-

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 5 ოქტომბრის N 1032545 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრები - ნატალია დარჩინიან და მანანა კობალაძე - დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სსიპ-კოლეჯ "იბერიის" საგანმანათლებლო პროგრამების- "თმის მომსახურებისა" და "სამკერვალო წარმოების" (განხორციელების ადგილი:ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ამ მიზნით, დისტანციური ვიზიტი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელდა 2021 წლის 19 ოქტომბერს.
ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგთა პირადი საქმეები, აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტები. შემდგომ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოთხოვილ იქნა "თმის მომსახურებისა" და "სამკერვალო წარმოების" პროგრამული ბიუჯეტები, პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო აღწერილობები.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან.
ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯ „იბერიის“ ხარისხის მართვის მენეჯერს, კოლეჯ „იბერიის“ სასწავლო პროცესის კოორდინატორს ბაღდათში, შესყიდვების კოორდინატორს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს. ამ ეტაპზე ვერ მოხდა სტუდენტებთან გასაუბრება, რადგან კოლეჯმა ამ პროგრამებზე მიღება პირველად განახორციელა და სასწავლო პროცესი ვიზიტის პერიოდში არ მიმდინარეობდა. დისტანციურად დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი- C გარემო და აღჭურვილობა, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, რადგან 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. ამ წარმოების ფარგლებში "სამკერვალო წარმოება" და "თმისა მომსახურება““ პროგრამების 2.2 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად და შესაბამისად სტანდარტის არის სრულ შესაბამისობაში.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

PDF Eraser Free

(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

რეკომენდაციების შესრულების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამისთვის "სამკერვალო წარმოება"

2.2.1(1). პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია მიეცა კოლეჯს მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ განახორციელოს მათ მფლობელობაში არსებული თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით მოწყობილ C გარემოში, რაც ექსპერტთა შეფასებით სავსებით შესაძლებელია.
გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს პრაქტიკის ობიექტის გარემო პირობები და შესაძლებლობები განსახორციელებელი მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად.
ვინაიდან ექსპერტების მიერ დაწუნებული იყო კოლეჯის პრაქტიკის ბაზები, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა/0712001/“, სწავლის შედეგის მისაღწევად გაიცა რეკომენდაცია მოდულში გაჩნდეს დამხმარე ჩანაწერი მოდულის განხორციელების შესახებ, კერძოდ „მოდულის ფარგლებში დაგეგმილია სასწავლო ვიზიტები საწარმოში (სამკერვალო ფაბრიკა), სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან მომავალი პროფესიის სამუშაო გარემოს და მის სპეციფიკას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, შინაგანაწესს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას“, ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობას და ა.შ.- **რეკომენდაცია შესრულებულია.**
2.2.1(3). **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგები შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამოსამუშავებლად. **რეკომენდაცია შესრულებულია.**

2.2.1(4). საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

გაიცა რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ჩაუტარდეს ინტენსიური ტრენინგების ციკლი/გადამზადება, რათა შეძლოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება. **აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.**

2.2.1(7)პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ გადახედოს საპროგნოზო ბიუჯეტს და სწორად გაწეროს დოკუმენტი.-**რეკომენდაცია შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეკომენდაციების შესრულების შეფასება საგანმანათლებლო პროგრამისთვის "თმისა და სილამაზის მომსახურება "

2.2.1(3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი შეფასების და მტკიცებულებების შეგროვების კომპეტენციის გამომუშავების მიმართულებით-**რეკომენდაცია შესრულებულია.**

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

რეკომენდაცია გაიცა დაწესებულებამ გადახედოს საპროგნოზო ბიუჯეტს და სწორად გაწეროს დოკუმენტი.-**რეკომენდაცია შესრულებულია.**

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა.

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

XI. სტანდარტების შეფასება

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/ Basic Vocational Qualification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძ. №41, 24.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. .ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური, ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტი ქ. ბაღდათის მისამართზე , რომელიც გადანაწილდება ორ ჯგუფად და ისწავლიან ორ ცვლაში. თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დაწესებულებამ მიღება გამოაცხადა მხოლოდ 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისად შეიქმნა ერთი ჯგუფი და არც ცვლების საჭიროება დგას. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით:

აუდიტორია №204 –A გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა.

აუდიტორია №303 –B გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა.

აუდიტორია №201-C გარემო: განთავსებულია მასწავლებლის მაგიდა და სკამი, ლეპტოპი, პროექტორი, დაფა, ლაბორატორიული მაგიდა (საგამომჭრელო), სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა (სამრეწველო), მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა დისკური დანით, საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით (IRON PRESS), მეტრიანი სახაზავი, საუთაო მაგიდა და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი,15 ცალი ერთნემსინი უნივერსალური საკერავი მანქანა, მანქანა, ღილის დასაკერებელი ნახევრად ავტომატური მანქანა (სამრეწველო),პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა,ზიგზაგური გვირისტის მანქანა, ფიგურული გვირისტის სპეც მანქანა „რასპაშივალკა“ ერთნემსიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა ბეწვის დეტალების შესაერთებლად და სხვა.

მოდულში „საწარმოო პრაქტიკა“ მითითებულია, რომ მოდულის სწავლება ხორციელდება სსიპ-კოლეჯის ,,იბერია“ ფილიალში. მის: ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველისქ. N112, (სასწავლო სახელოსნო) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 16 მასწავლებელი, აქედან 12 ზოგადი და 4 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.3 პუნქტის, 3.4.2(ბ) ქვეპუნქტი) პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას დაწესებულების მიერ მხედველობაში მიიღება, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,სამკერვალო წარმოება“განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის და ზოგადი მოდულების განხორციელებისისთვის აუცილებელი კომპეტენციები. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

პროფესიული მოდულების განმახორციელებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ჰქონდათ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, აცნობიერებენ მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიურობას და ჩართულები არიან დაწესებულების მიერ პერსონალის სწავლების ტრენინგებში , რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ,,პერსონალის სწავლების წლიური გეგმა ,, და ტრენინგის მონაწილეთა დასწრების ფურცელი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისად პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

. **4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.4 პუნქტის, 3.4.2.3 ქვეპუნქტი) პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, პროგრამას ჰყავს დარგობრივი და პროფესიული კომპეტენციის მქონე მეორე ხელმძღვანელიც, რომელიც ქუთაისში კოლეჯ „იბერიაში“ ხელმძღვანელობს „სამკერვალო წარმოების“ პროგრამას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა ბიბლიოთეკა და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან,. „სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, ამ ეტაპზე კოლეჯს პროგრამაზე არ მიუღია არც შშმ და არც სსსმ სტუდენტი.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. პროგრამის განსახორციელებლად სავსებით საკმარისია 7 პროფესიული სტუდენტის მიღება, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დაწესებულებამ მიიღო 15 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, ხარჯების, მოგებისა და შემოსავლების თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მაღალ რენტაბელურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „იბერიაში “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. ბრძ. №126; 7.07.2020წ)
- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიით“(დამტკ. ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	თმის მომსახურება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიულიკვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძ. №41, 24.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30 პროფესიული სტუდენტი - მოდულური, ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №112

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	57
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებისთვის ქ. ბაღდათის მისამართზე პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, რომელსაც გადაანაწილებს ორ ცვლაზე. თუმცა ამ ეტაპისთვის მიღება გამოაცხადა მხოლოდ 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომლებიც ისწავლიან ერთ ცვლაში. დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. სამივე გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით: აუდიტორია №103 – A გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. აუდიტორია №202 – B გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. აუდიტორია №102 –C გარემო: განთავსებულია 8 სამუშაო ადგილი, 8 ორ კარიანი კარადა, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თმის მომსახურება" განხორციელებისთვის საჭირო C გარემოსთვის აუცილებელი აღჭურვილობა, მათ შორის თმიანი თავის მანეკენები ფენი პროფესიონალური, კერამიკული; სუშუარი ტაიმერით, თერმოსტატით, სიჩქარის გადამრთველით და გამჭირვალე დიფუზორით აღჭურვილი; თმის ფორმის მიმცემი ელექტრო მოწყობილობები (პლოიკა); თმის პროფესიონალური უთო, კერამიკული, ტურმალინის ზედაპირით; პროფესიონალური მოხმარების კლიმაზონი, თმის მკურნალობის, ქიმიური დახვევის და შეღებვის პროცესის დასაჩქარებელი; ელექტროსასწორი; მშრალი სტერილიზების ელექტრო ღუმელი. აღნიშნული მატრიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გარდა ამისა ამ მიმართულებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს საწარმოო პრაქტიკისთვის მემორანდუმები [redacted] და შპს „მედ სერვისთან“სადაც სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ სამუშაოსთვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულს ჰყავს ორი განმახორციელებელი პირი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, დაწესებულებაში დასაქმებულ პედაგოგთა რაოდენობა საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად. კერძოდ, ზოგად მოდულს ახორციელებს 10 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო დარგის მიმართულებით მოდულს ახორციელებს 4 პროფესიული მასწავლებელი. შესაბამისად, პედაგოგთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

აღნიშნული ინდიკატორი სრულად არის უზრუნველყოფილი. თითოეულ განმახორციელებელ პირს უდასტურდება დარგის ცოდნა და მოდულების განსახორციელებლად საჭირო კომპეტენციები შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და სამუშაო გამოცდილებით. გარდა ამისა, ინტერვიუმ პედაგოგებთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან აჩვენა, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე და შემუშავებული აქვთ თანამშრომელთა გადამზადების წლიური გეგმა, რომელშიც გაწერილი აქვთ როგორც გარე ტრენინგის, ისე შიდა სამუშაო შეხვედრების განრიგი თემატიკის მითითებით.

გასაუბრებამ აჩვენა ,რომ პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები შეფასების ინსტრუმენტების შექმნასა და დახვეწაში. მათი შეფასების კომპეტენციის განვითარებაზე აქტიურად ზრუნავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (მე-3 მუხლის, 3.4 პუნქტის, 3.4.2.3 ქვეპუნქტი) პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით, ხელმძღვანელი განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. მისი კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით 2011 წლიდან მუშაობდა 2016 წლამდე მუშაობდა სტილისტად სალონებში „პაშა“ და „life style“-ში, 2016 წლიდან მუშაობს სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ პროფესიული განათლების მასწავლებლად ჯერ საგნობრივ და 2017 წლიდან უკვე მოდულურ პროგრამაზე. „თმის მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. გასუბრებისას დადასტურდა რომ იცნობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და იცის განხორციელების სპეციფიკას.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტისას დათვალიერდა ბიბლიოთეკა და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

მიმდინარე სასწავლო წელს „თმის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებამ მიიღო ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. კერძოდ, აღნიშნულ სტუდენტს ექნება საშუალება, სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ისარგებლოს მის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. დაწესებულებას, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირებული აქვს გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. პროგრამის განსახორციელებლად სავსებით საკმარისია 7 პროფესიული სტუდენტის მიღება, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს დაწესებულებამ მიიღო 15 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, ხარჯების, მოგებისა და შემოსავლების თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მაღალ რენტაბელურობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „იბერიაში “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. ბრძ. №126; 7.07.2020წ)
- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიით“(დამტკ. ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

28.10.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: